



საქართველოს რეფორმების ასოციაციის პროექტ

„ჟაქტ-მეტრის“

სარედაქციო საბჭოს

დებულება

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

დებულება განსაზღვრავს „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) პროექტ „ჟაქტ-მეტრის“ სარედაქციო საბჭოს უფლებამოსილებას და სამართლებრივ სტატუსს.

მუხლი 2.

სარედაქციო საბჭო წარმოადგენს პროექტ „ჟაქტ-მეტრის“ ფარგლებში მოქმედ კოლეგიურ ორგანოს.

მუხლი 3.

საბჭო თავისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისას წარმოადგენს „ჟაქტ-მეტრს“ და ვალდებულია მოქმედებდეს ჟაქტ-მეტრის საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობის/ხელმძღვანელის სტატუსით გათვალისწინებული პრინციპების, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქართული დადგენილი ეთიკური სტანდარტების შესაბამისად.

თავი II

საბჭოს მიზნები, ამოცანები და ფუნქციები

მუხლი 4

საბჭოს საქმიანობის მიზანია სარედაქციო პოლიტიკა იყოს ობიექტური, დაბალანსებული, ეთიკური და მუდმივად ვითარდებოდეს პრიორიტეტებისა და საზოგადოების ინტერესების შესაბამისად და პროექტის საქმიანობა შეესაბამებოდეს „ჟაქტ-მეტრისა“ და „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ სხვადასხვა საერთაშორისო გაერთიანებაში წევრობით აღებულ ვალდებულებებს. საბჭო უზრუნველყოფს „ჟაქტ-მეტრის“ პლატფორმის მუშაობას საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მუხლი 5

საბჭოს ძირითადი ამოცანებია:

- 5.1 მუშაობის მეთოდოლოგიის განსაზღვრა და მისი მუდმივი განვითარება;
 - 5.2 მეთოდოლოგიის დარღვევის შემთხვევების დროული გამოვლენა და გადაჭრის უზრუნველყოფა;
- ოქტომბერი, 2020 წ.

თბილისი, საქართველო

მუხლი 6

დასახული ამოცანების შესრულებისას საბჭო უფლებამოსილია:

- 6.1. განსაზღვროს სარედაქციო პოლიტიკა, მეთოდოლოგია, შეიმუშავოს მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის გზები;
- 6.2. განიხილოს და პრევენციული ღონისძიებები დასახოს ობიექტური, დაბალანსებული და ეთიკური ნორმების დარღვევის საფრთხეების აღმოსაფხვრელად, მათ შორის განახორციელოს გამოქვეყნებული სტატიების შემთხვევითი შერჩევის პრინციპით პერიოდული აუდიტი და გამოვლენილი დარღვევების შემთხვევაში კეთილსინდისიერი შესწორების პოლიტიკა;
- 6.3. განიხილოს რედაქტორების მიერ დაყენებული პრობლემური საკითხები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება;
- 6.4. ახორციელებს ვებ-გვერდზე განსათავსებელი კონტენტის შესახებ იდეების განხილვასა და შერჩევას;
- 6.5. განსაზღვროს „ფაქტ-მეტრის“ მუშაობის მეთოდოლოგია, შესწორების პოლიტიკის მეთოდოლოგიასთან შესაბამისობა;
- 6.6. განიხილოს „ფაქტ-მეტრის“ საიტზე გამოქვეყნებული სტატიების შესახებ შემოსული საჩივრები და მოსაზრებები, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში მიიღოს ვერდიქტის შესწორების გადაწყვეტილება;
- 6.7. საბჭოზე მიღებული გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრასა და აღსრულების მონიტორინგს.

თავი III

საბჭოს შემადგენლობა

მუხლი 7

- 7.1. საბჭოს შემადგენლობაში შედიან პროექტ „ფაქტ-მეტრის“ მთავარი რედაქტორი, Meta-ს ფაქტების გადამოწმების პროგრამის რედაქტორი და მმართველი რედაქტორი;
- 7.2. საბჭოს თავმჯდომარეა „ფაქტ-მეტრის“ მთავარი რედაქტორი;
- 7.3. საბჭოზე გადაწყვეტილების მისაღებად თითოეული რედაქტორის ხმას აქვს თანაბარი წონა და გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით;

თავი IV

სარედაქციო საბჭოს დამოუკიდებლობა

მუხლი 8

სარედაქციო საბჭო „ფაქტ-მეტრის“ სარედაქციო პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში სარგებლობს სრული დამოუკიდებლობით, როგორც „საქართველოს რეფორმების ასოციაციის,“ ასევე მისი პარტნიორების, დონორების, დამფუძნებლებისგან თუ სხვა -

ოქტომბერი, 2020 წ.

თბილისი, საქართველო

ორგანიზაციასთან რაიმე ფორმით აფილირებული თუ არააფილირებული მესამე პირებისაგან, მათ შორის პოლიტიკური სუბიექტებისგან, საჯარო ფიგურებისგან და ა.შ;

მუხლი 9

დაუშვებელია ნებისმიერი პირის მხრიდან სარედაქციო საბჭოს საქმიანობაში ჩარევა ან ჩარევის მცდელობა, ნებისმიერი ფორმით;

თავი V

დასკვნითი დებულება

მუხლი 10

საბჭოს დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით;

მუხლი 11

საბჭოს მიერ დებულების შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ემსახურება დებულებით განსაზღვრულ მიზნებს და გავლენა აქვს ორგანიზაციის ზოგად საქმიანობაზე, წერილობით უნდა ეცნობოს „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ დირექტორს.

მუხლი 12

სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის მიღებისთანავე, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული საბჭოს მიერ.